საჯარო მოხელეების საკადრო ცვლილებები 2012 წლის არჩევნების შემდეგ

იულია მუჟიჩენკო

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კახაბერ ურიადმყოფელი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

იულია მუჟიჩენკო

06.07.2015

შინაარსი

აბსტრაქტი 4

შესავალი 6

უმუშევრობის დონე საქართველოში 7

საჯარო სამსახურის რეფორმა 8

ხელისუფლების ცვლილება 11

პრობლემის ფორმულირება 13

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა 15

საჯარო სამსახურიდან განთავისუფლების მიზეზები 14

ნეპოტიზმი 24

ნეპოტიზმის სახეობები 26

ხარვეზები სამსახურიდან გათავისუფლების დროს 27

თანამდებობიდან გათავისუფლება და საკანონმდებლო ჩარჩო 27

პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება 31

სასამართლოს პრაქტიკა 32

საკანონმდებლო ცვლილებები და სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელეების უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება 34

დასკვნა და რეკომენდაციები 36

ბიბლიოგრაფია 39

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს კრიტიკულად შეაფასოს საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლიდან დღემდე საკადრო ცვლილებები და განხორციელებული საკადრო პოლიტიკა საჯარო სექტორში 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

რამდენი საჯარო მოსამსახურე იყო გათავისუფლებული 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ? არის თუ არა ეს გამოწვევა დაკავშირებული ნეპოტიზმთან და კორუფციასთან საქართველოში? ეს ის მთავარი კითხვებია, რომლებიც გვიჩნდება სტატისტიკური მონაცემების გადახედვის დროს და ბუნებრივია ჩნდება კითხვა უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად შეიძლება მოუვიდეს აზრად საჯარო მოხელეს თავისი ინიციატივით სამსახურიდან წამოსვლა?

ნაშრომი შედგება ოთხი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მიმოხილულია საჯარო სამსახურის რეფორმა და ხელისუფლების ცვლილება, როგორც საკადრო ცვლილების მთავარ გამოწვევებად.

მეორე ნაწილში ჩამოთვლილია საჯარო სამასახურიდან გათავისუფლების მიზეზები და დიაგრამების მეშვეობით ილუსტრირებულია იმ საჯარო მოსამსახურეების რაოდენობა, რომლებიც საკუთარი განცხადებით და ბრძნების საფუძველზე იყვნენ გათავისუფლებულნი, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეზე.

ნაშრომის მესამე ნაწილში ხაზი გაესვა სამსახურიდან დათხოვნის ხარვეზებს და მოყვანილია საკანონმდებლო ჩარჩოს შესაბამისობაში.

მეოთხე ნაწილი მთლიანად ეთმობა შემაჯამებელ დასკვნას და რეკომენდაციებს, რომელიც გულისხმობს ალტერნატიულ ვარიანტებს, თუ რა უნდა გაკეთდეს სამომავლოდ.

წინამდებარე ნაშრომში ასევე განხილულია ნეპოტიზმის ცნება, გამოყენებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და პრაქტიკა. ღრმად შესწავლილია არასამთავრებო ორგანიზაციების კვლევები და მათ მიერ მოწოდებული სამინისტორბიდან და ადგილობრივი თვითმართველობებიდან გამოთხოვილი მასალები. მიმოხილულია დეპუტატის საჯარო გამოსვლა და ჩაწერილია ორი ინტერვიუ ყოფილ სჯარო მოსამსახურეებთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახალი ხელისუფლება, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩვნები, საჯარო სამსახურის შესახებ კანონი, საკადრო პოლიტიკა, ნეპოტიზმი, კორუფცია.